986

ISSN 0203—2023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 6

1986

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (489) ივნისი 1986 წელი

შინაარსი

140. საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

140 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„უშრომელი შემოსავლის მიღებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 23 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1963 წ., № 14, მუხ. 239; 1971 წ., № 7, მუხ. 94; 1982 წ., № 12, მუხ. 371):

1. 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში ციფრი „189-ე“ შეიცვალოს სიტყვებით „189-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები“.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 98[1] და 98[2] მუხლები:

„მუხლი 98[1]. სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებური გამოყენება

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებური გამოყენება ანგარებითი მიზნით, ჩადენილი ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამასიდან ათას მანეთამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა დიდი ზარალი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

მუხლი 98[2]. ყოფა-ცხოვრებაში ენერგიითა და გაზით სარგებლობის წესების დარღვევა

ელექტრონული ან თბოენერგიის ანდა გაზის თვითნებური გამოყენება ანგარებითი მიზნით, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებაში ელექტრონული ან თბოენერგიით ანდა გაზით სარგებლობის წესების დარღვევა, ჩადენილი ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ან თუ მას მოჰყვა არსებითი ზიანი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამასიდან ათას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, რასაც მოჰყვა სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე“.

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 164-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე მოქმედება, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამდიდრება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

4. 165-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„წვრილმანი სპეკულაცია, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთივე მოქმედებისათვის წლის განმავლობაში ორჯერ შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე“.

5. 167-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე მოქმედება, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამდიდრება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

6. 172-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 172. აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა

შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ ის ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით.

შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, ჩადენილი მნიშვნელოვანი ოდენობით ან დაქირავებული შრომის გამოყენებით, აგრეთვე იმ პირის მიერ რომელიც ადრე ნასამართლევი იყო აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

7. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 172[1] მუხლი:

„მუხლი 172[1]. შემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისაგან თავის არიდება

თავის არიდება შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის, სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შემოსავლის ანდა საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი სხვაგვარი შემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისაგან და სხვა შემთხვევებშიც, როდესაც დეკლარაციის შეტანა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, ან დეკლარაციის არადროული შეტანა ანდა მასში წინასწარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცნობით დამახინჯებული მონაცემების ჩვენება, თუ ეს მოქმედებანი ჩადენილია ასეთივე დარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, —

ისჯება გამასწორეებლი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე".

8. მუხლი 173[1] ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 173[1]: სახელმწიფო ან კოოპერაციულ მაღაზიებში პურისა და კვების სხვა პროდუქტების შესყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად

სახელმწიფო ან კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და კვების სხვა პროდუქტების შესყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის გამოკვება მაღაზიებში ნაყიდი გამომცხვარი პურით, ფქვილით, ბურღულითა და კვების სხვა პროდუქტებით, ჩადენილი ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ან სისტემატურად, ანდა დიდი ოდენობით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ასიდან ხუთას მანეთამდე".

9. მუხლები 173[2] და 179[1] ამოღებულ იქნეს.

10. 189-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 189. ქრთამის აღება

თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან არაერთხელ, ან რასაც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა, ანდა ქრთამის აღება დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედებანი, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ანდა რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამაძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით".

11. ამოღებულ იქნეს 246[1] მუხლის სათაურიდან სიტყვები „ან გაზით სარგებლობის უსაფრთხოების წესების", ხოლო პირველი ნაწილიდან სიტყვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ან მოსახლეობის მიერ გაზით სარგებლობის დროს უსაფრთხოების წესებ-ბის“.

II. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 20 აპრილის ბრძანებულების მე-3 მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 4, მუხ. 41; 1982 წ., № 12, მუხ. 373) სიტყვები „ჯარიმა ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ჯარიმა ასი მანეთის ოდენობით, ხოლო ანგარებითი სამართალდარღვევისათვის — ორას მანეთამდე“.

III. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1966 წ., № 3, მუხ. 33; № 11, მუხ. 183; № 12, მუხ. 200; 1970 წ., № 8, მუხ. 124; № 9, მუხ. 138; № 11, მუხ. 203; 1971 წ., № 7, მუხ. 94; 1973 წ., № 5, მუხ. 72; № 6, მუხ. 98; № 11, მუხ. 203; 1974 წ., № 10, მუხ. 190; 1975 წ., № 1, მუხ. 3; 1977 წ., № 4, მუხ. 42; 1978 წ., № 6, მუხ. 123; 1980 წ., № 7, მუხ. 216, 1985 წ., № 2, მუხ. 23):

1. 32-ე მუხლში სიტყვები „189-ე მუხლის II ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „189-ე მუხლის III ნაწილით“.

2. 126-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „165-ე მუხლის პირველი ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „165-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით“; სიტყვების „172-ე მუხლის პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს ციფრი „172[1]“;

მეოთხე ნაწილს ციფრის „98“ შემდეგ დაემატოს ციფრები „98[1], 98[2]“.

IV. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1984 წ., № 12. მუხ. 420; 1985 წ., № 5, მუხ. 157; № 8, მუხ. 277; № 10, მუხ. 376; 1986 წ., № 4, მუხ. 89):

1. 27-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცალკეულ სახეობათა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების საჭიროებისას საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ჯარიმა მოქალაქეთა მიმართ — ორმოცდაათ მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ — ას მანეთამდე, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით — მოქალაქეთა მიმართ ას მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ — ორას მანეთამდე, ხოლო ანგარებითი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის — მოქალაქეთა მიმართ ორას მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ — სამას მანეთამდე“.

2. 50-ე მუხლში სიტყვები „ოცდან ას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ოცდან ორას მანეთამდე“.

3. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 50[1], 96[1], 158[1], 164[1], 168[1], 172[1] მუხლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 50[1]. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან თავის არიდება

საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციისათვის დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით მოვალეა ანაზღაუროს ასეთი ზარალი, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით".

მუხლი 96[1]. ყოფაცხოვრებაში ენერგიით ან გაზით სარგებლობის წესების დარღვევა.

ელექტრონული ან თბოენერგიის ანდა გაზის თვითნებური გამოყენება ანგარებითი მიზნით, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებაში ელექტრონული ან თბოენერგიის ანდა გაზით სარგებლობის წესების დარღვევა, რასაც არსებითი ზიანი არ მოჰყოლია, —

გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე".

მუხლი 158[1]. სამშენებლო მასალების შეძენის წესის დარღვევა

მოქალაქეთა მიერ სხვა მოქალაქეებისაგან სამშენებლო მასალების შეძენის (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების) დადგენილი წესის დარღვევა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, უკანონოდ შეძენილი სამშენებლო მასალის კონფისკაციით ან უამისოდ".

„მუხლი 164[1]. შემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისაგან თავის არიდება

თავის არიდება შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის, ან ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შემოსავლის ანდა საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი სხვაგვარი შემოსავლის შესახებ დეკლარაციის შეტანისაგან და სხვა შემთხვევებიც, როდესაც დეკლარაციის შეტანა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, ან დეკლარაციის არადროული შეტანა ანდა მასში წინასწარ შეცნობით დამახინჯებული მონაცემების ჩვენება, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას მანეთამდე".

მუხლი 168[1]. მოქალაქეთა მიერ შინ დაყენებული ისეთი ღვინის გაყიდვა, რომელიც მაგარ სპირტიან სასმელებს არ განეკუთვნება

მოქალაქეთა მიერ შინ დაყენებული ისეთი ღვინის გაყიდვა, რომელიც მაგარ სპირტიან სასმელებს არ განეკუთვნება, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ოცდაათ მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, —.

გამოიწვევს დაჯარიმებას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, შინ დაყენებული ღვინის კონფისკაციით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 172**[1]. შეჯიბრებებზე ფსონის მიღება კერძო პირების მიერ

სპორტულ ან სხვა შეჯიბრებებზე ფსონის მიღება კერძო პირების მიერ —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, თამაშში ფსონად ჩასული ფულის, ნივთებისა და სხვა ფასეულობის კონფისკაციით ან უამისოდ“.

4. 127-ე, 160-ე, 164-ე და 165-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 127.** სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების ანგარებითი მიზნით გამოყენება

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების თვითნებური გამოყენება ანგარებითი მიზნით —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ას მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ორას მანეთამდე, ხოლო სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების დაჯარიმებას ას მანეთამდე ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთ წლამდე.

მოქალაქეთა მიერ პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებათა ანგარებითი მიზნით გამოყენება —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას ვადით ერთ წლამდე“.

„**მუხლი 160.** სახელმწიფო ან კოოპერაციულ მაღაზიებში პურისა და კვების სხვა პროდუქტების შესყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად

სახელმწიფო ან კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულის და კვების სხვა პროდუქტების შესყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის გამოკვება მაღაზიებში ნაყიდი გამომცხვარი პურით, ფქვილით, ბურღულითა და კვების სხვა პროდუქტებით, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას მანეთამდე“.

„**მუხლი 164.** შინამრეწველურ — ხელოსნური რეწვისა და სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა

შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვისა და სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით ან უამისოდ“.

„**მუხლი 165.** აკრძალული სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა

შინამრეწველურ — ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარღებისა და ნედლეულის კონფისკაციით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მუხლი 150-ე ამოღებულ იქნეს.

6. 205-ე მუხლის:

პირველ ნაწილს ციფრების „103-105[1]“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „127-ე მუხლით (გარდა მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საქმეებისა)“, ციფრების „155-158-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „158[1]“; ციფრის „164-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „164[1]“; ციფრის „167-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „168[1]“;

მეორე ნაწილში ციფრი „97-ე“ შეიცვალოს ციფრებით „96[1], 97-ე“; სიტყვების „105-ე მუხლებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „127-ე მუხლით (გარდა მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საქმეებისა)“; ციფრების „155-157-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „158[1]“; ციფრის „167-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „168[1]“.

7. 206-ე მუხლში ციფრი „97-ე“ შეიცვალოს სიტყვებით „97-ე მუხლით, 127-ე მუხლით (გარდა მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საქმეებისა)“; ციფრის „156-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „158[1]“, ციფრის „167-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „168[1]“.

8. 208-ე მუხლს ციფრის „50-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „50[1]“, ხოლო ციფრის „166-ე“ შემდეგ — ციფრი „172[1]“.

9. 209-ე მუხლის:

პირველ ნაწილში სიტყვები „116-130-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „116-126-ე მუხლებით, 127-ე მუხლით (მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესახებ), 128-130-ე“;

მეორე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „126-ე, 127-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „126-ე მუხლით, 127-ე მუხლით (მძღოლების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესახებ)“.

10. 295-ე მუხლის მეორე აბზაცში ციფრები 142-ე, 154-ე, 159-ე, 164-ე, 165-ე“ შეიცვალოს ციფრებით „142-ე, 154-ე, 158[1], 159-ე, 164-ე 165-ე, 168[1], 172[1]“.

V. საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1983 წ., № 11, მუხ. 370):

1. 34-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8) სამუშაო ადგილას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისას (მათ შორის წვრილმანი გატაცების დროსაც), რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმ ორგანოს დადგენილებით, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული სახდელის დადება ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება“.

2. 37-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „ერთი თვის განმავლობაში დღიდან გადაცდომის გამომჟღავნებისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული საფუძვლით დათხოვნისას — ერთი თვის განმავლობაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის ან იმ ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს მიერ დადგენილების გამოტანის დღიდან, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული სახდელის დადება ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება“.

3. 118-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „ეს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და არ უნდა აღემატებოდეს მიყენებული ზიანის სრულ ოდენობას გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით“.

4. 119-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მაგრამ არა უმეტეს მიყენებული ზიანის სრული ოდენობისა“.

5. 135-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5) დათხოვნას (34-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტები)“.

6. 244-ე მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ფარგლებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის ცალკეული სახეობის ქონებისა და სხვა ფასეულობის გატაცებით, განზრახ გაფუჭებით, დანაკლისით ან დაკარგვით მიყენებული ზიანის გამო, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანის ფაქტიური ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას, აწესებენ სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები“.

VI. საქართველოს სსრ 1964 წლის 24 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662):

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 239[1] მუხლი:

„მუხლი 239[1]. მოქალაქეთა შორის სამშენებლო მასალების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფორმა

მოქალაქეთა შორის სამშენებლო მასალების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადასტურებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველი მყიდველს ქონებას გადასცემს საავჭრო ან სხვა ორგანიზაციაში მისი შეძენის დოკუმენტებთან ერთად.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დაუცველობა გამოიწვევს ამ კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული წესების გამოყენებას“.

2. 241-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „რა ფასზედაც მხარეები შეთანხმდებიან“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

3. 267-ე მუხლში ციფრები „237-ე — 239-ე“ შეიცვალოს ციფრებით „237-239[1]“.

4. 269-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საცხოვრებელი სახლის და სამშენებლო მასალების ნაჩუქრობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს შესაბამისად ამ კოდექსის 239-ე და 239[1] მუხლებით დადგენილი ფორმით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 457-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „მთლიანად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „გარდა სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

6. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ იქნეს შემოღებული 1986 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1986 წლის 11 ივნისი.
№ 785—XI